ერთი ასეთი სიახლეა ენგურჰესის მშენებლები ქვეყნის დიდი სამრეწველო ორგანიზაციებისაგან მოწყობილობა-დანადგარებს იღებენ. ბევრი მიმწოდებელი პირობას ვერ ასრულებს, არღვევენ მიწოდების ვადებს. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პროფკავშირის გაერთიანებულმა კომიტეტმა პარტიული კომიტეტის წინაშე დასვა შემკვეთებსა და შემსრულებელ ორგანიზაციებს შორის ნურეკელი ჰიდრომშენებელთა საქვეყნოდ ცნობილი პატრიოტული თაოსნობის — „მუშური ესტაფეტის“ შემოღების საკითხი. ეს ინიციატივა მოწონებულ იქნა. გაიმალა შეჯიბრება, ერთი მხრივ — დანადგარ-მოწყობილობების დროული დამზადებისა და მიწოდებისათვის, მეორე მხრივ, მიღებული დანადგარ-მოწყობილობების დროული დამონტაჟებისათვის. ყოველივე ამას კარგი შედეგი მოჰყვა.

გადამწყვეტი მუშაობის დრო დადგა ამ დიდი ჰიდროტექნიკური ობიექტის მშენებლობაზე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძირითადი სადგურის — პირველი სამი ჰიდროტურბინის (სულ ხუთია) დისკური და სფერული საკეტების დამონტაჟება, რომლებიც განკუთვნილია აგრეგატებში წყლის მიწოდებისა ხარჯის რეგულირებისათვის. დიდი მუშაობა წარმოებს მდინარე ენგურის გადასახიდად, რათა დეკემბრის მეორე ნახევარში შეუდგნენ ჯვრის წყალსაცავის ავსებას. ყველა ამ და სხვა სამუშაოების დროზე და ხარისხიანად შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების სული და გულია პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ენგურჰესის მშენებლობის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შესრულდეს საიუბილეო წლისთავის ნაკისრი ვალდებულება.

Თ. ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ,
ენგურჰესის მშენებლობის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲔᲗ

ᲒᲐᲘᲘᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ განიხილეს ლაგოდეხისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებში მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის საკითხი.

აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამ უკანასკნელ ხანს კარგიეული მუშაობა გასწიეს საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების განსახილველად პრიორიტეტულად გამოაქვთ საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის საკითხები (ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ 1976-1977 წლებში სესიაზე ეს საკითხი განიხილა ერთხელ, იმავე საბჭოს აღმასკომმა თავის სხდომებზე იგი განიხილა 19-ჯერ, ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომმა — 4-ჯერ).

ლაგოდეხის რაიონში 1976-1977 წლებში მოეწყო ოთხი თათბირ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების გამგეობებისა და სარეციზიო კომისიების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ეკონომისტები. მათ განიხილეს საკოლმეურნეო წესდების დაცვის საკითხი.

კოლმეურნეობებში საწესდებო მოთხოვნათა დაცვამ, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფამ ხელი შეუწყვეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობას და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ზრდას.

სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრეს ლაგოდეხისა და ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა.

ამასთან, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, ლაგოდეხისა და ვანის რაიონებში არის საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების სერიოზული დარღვევის ფაქტები. სათანადოდ არ მუშაობენ კოლმეურნეობათა საერეციზიო კომისიებიც.

არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნული რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, სათანადოდ არ ამოწმებენ საკოლმეურნეო მართვის დ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲓᲔᲝᲒᲕᲪᲔᲡ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბევრი საზღვარგარეთელი სტუმარი.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ვ. ლესტოვი, ნ. მ. პეგოვი, ს. პ. ტრაპეზნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდიუმები, ქვეყნის მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელები.

დარბაზში იყვნენ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელები, ინდოეთის, ირლანდიის, იტალიის, კოლუმბიის, მექსიკის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეიცის თვალსაჩინო მეცნიერები.

საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს სპეციალი პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მივალობით.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა. საბჭოთა მეცნიერები, თქვა მან, საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ დიდ დღესასწაულს — ჩვენი ხალხისა და მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. დიდი ოქტომბრის გამარჯვებისთანავე ბოლშევიკთა პარტიამ დიდი ყურადღება დაუთმო ხალხის განათლების საქმის გაუმჯობესებასა და მეცნიერების განვითარებას. ძნელ ვითარებაში, როცა ქვეყანას აკლდა სათბობი, სურსათი, იხსნებოდა სკოლები, იწყებოდა გრანდიოზული მუშაობა უზენაესი ლიტერატურის ლიკვიდაციისათვის...

საბჭოთა მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიების შექმნა. ბევრი მათგანი ახლა საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი სამეცნიერო ცენტრი გახდა.

სკკპ XXV ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა: პარტიის კურსი ის არის, რომ ყველაც დაუცხრომლად ვიზრუნოთ დიდი მეცნიერების განვითარებისათვის, მისი მთავარი შრომის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაკოორდინირებელი როლის გაძლიერებისათვის. ამისათვის ჩვენ ოღრიესად მადლობელი ვართ ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობისა.

მოხსენება „დიდი ოქტომბერი და მეცნიერული კომუნიზმის განვითარება“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აკადემიკოსმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

თითოეული საბჭოთა ადამიანი, — თქვა მან, — ამ საადღესასწაულო დღეებში. სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მისი გარჯილობისა და კონიბის, მისი ერონისა და გამოცდილების საქმე ხელს უწყობს მეცნიერული კომუნიზმის საწყისებზე საზოგადოების უფიდეს გარდაქმნას, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბერმა. ამასვე განიცდის ყველა საბჭოთა მეცნიერი.

„სოციალიზმი და მეცნიერება განუყოფელი არიან. და ეს არის სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი“, — ხაზი გაუსვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას. ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა მეცნიერება, უდიდესი ძალის სტიმული მისცა მის განვითარებას, დაიწყო ახალი ერა მის ისტორიაში. რადიკალურად შეიცვალა თვით მეცნიერების მდგომარეობა და მისი როლი საზოგადოების განვითარებაში.

ლენინმა, პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, როცა შეუდგნენ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების განხორციელებას, ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ მათი წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული აზრის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, როგორც ლენინი ამბობდა — მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენელთა მჭიდრო კავშირით. ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, პარტია, საბჭოთა ხელისუფალ საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ყველა ეტაპზე კვლავ წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც ერთიანებს მეცნიერულ აზრსა და მასების შემოქმედებით ინიციატივასა და ენერგიას.

ოქტომბრის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა სწორად იმიტომ, რომ რევოლუციის მთელი პრაქტიკული მომზადება, შემდეგ კი მისი განხორციელება და ჩვენი საზოგადოების მთელი შემდგომი განვითარება განჭვრეტილადაა დაკავშირებული რევოლუციური მარქსისტული აზრის გენიოსს — ვ. ი. ლენინის გიგანტურ თეორიულ მუშაობასთან.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში, ხაზი გაუსვა ბ. ნ. პონომარიოვმა, იყო მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული შეშმარიტების შემოწმება და დადასტურება. სოციალიზმი იდეებიდან, პროგრამიდან რეალობად იქცა. ამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მიღწევაში თასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერებამ.

განვითარებულ სოციალიზმს ახასიათებს ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის არა მარტო ახალი მდგომარეობა, საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერება, არამედ სახელმწიფო მშენებლობის ახალი ეტაპიც. ეს ეტაპი, საერთო-სახალხო სახელმწიფოს ეტაპი საკანონმდებლო წესით აისახა საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში. რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. დაახასიათა რა სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის ძირითადი თავისებურებანი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი ძირითადი კანონი ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოების კონსტიტუციებისაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი აღიარებს და განამტკიცებს მეცნიერების უდიდეს როლს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში.

ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ჩვენს პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუსახა რევოლუციამ, თქვა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა, გახდა სოციალისტური საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და მეთოდების შემუშავება. ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ მასები შეაიარაღეს საყოველთაო, სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობისათვის ბრძოლის კონსტრუქციული და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირში მეცნიერების ყველა დიდი აღმოჩენა ემსახურება მშვიდობის საქმესა და ხალხის ინტერესებს.

პრინციპული დებულებანი მეცნიერების როლის შესახებ, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენი განვითარების შემდგომი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პერსპექტივების თვალსაზრისით ზუსტადაა ჩამოყალიბებული სკკპ XXIV და XXV ყრილობების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში, მეცნიერებას, ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერულ გამოკვლევებს ჯერ არასდროს არ შეუსრულებიათ ისეთდენ თვალსაჩინო როლი საზოგადოების განვითარებაში, როგორიც ახლა. ამს შემდგომ, რაც საბჭოეთში დაიწყო განვითარებული სოციალიზმის ეტაპი, მეცნიერების წინაშე დაისახა ახალი რთული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლა. თვით მეცნიერება ეჭვი უშუალო საწარმოო ძალად, მთელი ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სახელმწიფო განვითარების რთული კომპლექსის შემადგენელ ნაწილად.

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქმის ორი მხარე — პარტიულობა და მეცნიერულ მუშაობაში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა — განუყოფელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საბჭოთა მეცნიერების პარტიულობას საფუძვლად უდიეს მეცნიერთა იდეური ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ჩვენ, თქვა დასასრულ ბ. ნ. პონომარიოვმა, რწმენით შეიარაღნი მომდევნოს, რადგან დღეს მეცნიერებისა და სოციალიზმის დიადი ავშირი ცოცხალ რეალობად იქცა.

საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინი მიიტანეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავზე კრემლის კედლებთან. (საკდესი).

ᲓᲘᲓ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲔᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. პრაღაში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისა და ტრადიციული ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილი მშრომელთა მანიფესტაცია. ათასობით ადამიანი — დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენლები შეიკრიბნენ სტარომესტის მოედანზე, რათა გამოეხატათ თავიანთი ერთგულება დიდი ოქტომბრის იდეებისადმი, საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრობის განმტკიცებისადმი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲡ: მანიფესტაციის დროს.

ᲩᲢᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა პოლიტიკური სიმღერების მესამე საერთაშორისო ფესტივალი „წითელი ყაყაჩო“, რომელიც ბლაგოევგრადში გაიმართა. მასში მონაწილეობდა 60 თვითმოქმედი და პროფესიული კოლექტივი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲡ: ფესტივალის საპატიო სტუმრები საბჭოთა კავშირის გმირი მარინე ჩერნევა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი ზაჭარია ზახარიევი ხეს რგავენ მეგობრობის „პარკში.

ᲩᲢᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ, 16 ნოემბერი. (საკდესი). ეთიოპიის დროებითმა სამხედრო ადმინისტრაციულმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: ამჟამად სახალხო რევოლუციისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია მუშათა კლასის პარტიის შექმნა. ამ მიზნით საჭიროა განვამტკიცოთ ეთიოპიის მარქსისტულ-ლენინური ჯგუფების თანამშრომლობა და ურთიერთმოქმედება, ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების ერთიანობა შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭო აღნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლა ახლა განსაკუთრებით გამწვავდა და ეს მოითხოვს ხალხმა ახალი ლონისძიებანი განახორციელოს შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად და წარმოების დონის ასამაღლებლად, კონტრრევოლუციის შემოტევის მოსაგერიებლად.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲝ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. შვეიცარიაში დაიწყო საბჭოთა კინოს კვირეული, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. იგი მიმდინარეობს ბერნში, ჟენევაში, ლოზანაში, ნეშატელში, ციურიხში, ლაშო-დე-ფონში. შვეიცარიის საზოგადოებრიობა გაეცნობა თანამედროვე საბჭოთა ფილმებს. ნაჩვენები იქნება მხატვრული კინოსურათები „სხივდანთებული ბედნიერება“, „პრემია“, „თეთრი გემი“, „რიგა ხელტმბერი დგება“, „დაჭრილი ნადირი“, „სიყვარულის მონა“ და სხვა ფილმები.

ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პროგრესული ამერიკა პატივს მიაგებს ცნობილი ზანვი მომღერლის პოლ რობსონის ხსოვნას, რომელმაც დისკრიმინაციისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა სიცოცხლე. თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერებმა, მსახიობებმა და მომღერლებმა გადაწყვიტეს მომავალი წლის აპრილში დეტროიტში მოაწყონ პოლ რობსონის ხსოვნის კვირეული. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სიმინარებში, რომლებიც მიეძღვნება პოლ რობსონის ბრძოლას ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშრობისათვის.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის ხასცენო ხელოვნების სიამაყე — ეროვნული თეატრი სრული ფინანსური კრახი წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნის პოპულარულმა თეატრმა, რომლის ახალი შენობა ამ წლისაბერის წინ აშენებულ ტემზის სანაპიროზე, მარტო უკანასკნელ ნახევარ წელიწადში ნახევარ მილიონი ბირვანტა სტერლინგი ზარალი განიცადა, მიუხედავად ამისა, რომ დარბაზი მუდამ ხალხით იყო სავსე და ბილეთები ძალიან ძვირღირდა თვით ინგლისელთა აზრითაც. ეროვნული თეატრის დირექტორი პიტერ ჰოლნი სახელმწიფოს მოუწოდა გაზარდოს ასიგნებანი ინგლისელი ხელოვნების საჭიროებისათვის გადაარჩინოს თეატრი. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ—ᲮᲐᲚᲮᲘᲡ

ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ბევრი რამ საუურადღებო შეიტანა ჩვენი პარტიის საქმიანობაში. მან ხელი შეუწყო ჩვენი რიგების იდეური ერთიანობის განმტკიცებას, კვლავ ცხადყო, თუ რა ღრმა კავშირი აქვს პარტიას მუშათა კლასთან და ყველა შრომელთან, განამტკიცა მისი ხელმძღვანელი როლი ცხოვრების ყველა დარგში, განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველში მდივანმა ე. გერეკმა ქალაქ ზამოსცში კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე.

ე. გერეკმა აღნიშნა, რომ ახლანდელი კამპანიის დრო კომუნისტებმა წამოაყენეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება, რომლებიც მიზნად ისახავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, თქვა მან, რათა ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ სწორი დასკვნები გამოიტანონ ამ დისკუსიიდან. ბრძოლას დადებითის დამკვიდრებისა და უარყოფითი მოვლენების ლიკვიდაციისათვის დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ხალხს ვაერთიანებთ საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენს სამშობლოში უზრუნველყოთ მუდმივი დინამიკური განვითარება, ხოლო ხალხისათვის — საარსებო დონის, განათლებისა და კულტურის განუხრელი ამაღლება.

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ:

ᲫᲘᲠᲡ—ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲑᲘ!

ᲝᲡᲚᲝ. ნორვეგიის მუშათა პარტიის ქალთა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა დაგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები — დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და განალაგოს იგი ევროპაში. ნორვეგიის მთავრობამ უნდა თქვას: „ძირს ნეიტრონული ბომბი!“. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს, თუ როგორ ეჯიდიან ნატოს ევროპული ქვეყნები დასავლეთ ევროპაში ამ იარაღის განლაგებას, ხაზგასმულია ქვეყნის მთავრობისადმი ამ ორგანიზაციების ერთობლივ მიმართვაში.

ᲞᲔᲠᲣ. ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგმები ეწინააღმდეგება სრულიად ევროპის ქელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებებს, განაცხადა აფსტრიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ მარგარეტე შტაიგერმა. ამგვარი გეგმები ხელს უწყობენ გამლავნული შეიარაღების ახალ ეტაპს და უხეშად არღვევენ საერთაშორისო შეთანხმებებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ. სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორმა ფრენკ ბარნაბიმ განაცხადა: ნეიტრონული ბომბის წარმოებას შეიძლება მოჰყვეს ატომური იარაღის გავრცელების საშიშროების გაძლიერება და ატომური ომის წარმოშობა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ატომური სტრატეგია და ნეიტრონული ბომბის შექმნა წმინდა წყლის უკანონერებაა.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ბელგიის მშვიდობისა და განვითარების მოქმედების კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც მოითხოვა ხელი აიღოს ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგმებზე.

წერილში ხაზგასმულია, რომ „ნეიტრონული ბომბის შექმნა ნიშნავს ახალ ნაბიჯს გამალებული ატომური შეიარაღების გზაზე.

ᲑᲝᲜᲝ. ნეიტრონული ბომბის წარმოებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ ატომური იარაღის განლაგების გეგმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნით ჩაიარა ჰესენის დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლთა დემონსტრაციამ. აქტომანქანებით, რომლებზეც გაკრული იყო ლოზუნგები „ძირს ნეიტრონული ბომბი“, „ძირს ყველა სახეობის ატომური იარაღი“, „ძირს გამალებული შეიარაღება — ჩვენ მოვითხოვთ განიარაღებას“, დემონსტრაციის მონაწილეებმა ჩაიარეს ქალაქებში ბად-ჰომბურგში, ვერგეიშში, კეპენხსა და ფრიდრიხსდორფში. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატებსა და ნატოზე საბერძნეთის დამოკიდებულების მოსპობა, დემოკრატიული საზოგადოების აშენება, ეკონომიკური განვითარება ხალხის ინტერესებისათვის და არა მარტო მონოპოლიებისათვის, — აი ის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც საბერძნეთის წინაშე დგას, აღნიშნა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხ. ფლორაკისმა. იგი გამოვიდა ტელევიზიით და გამოსვლის ტექსტი დღეს გამოქვეყნებული გაზეთ „რიზოსპასტისში“.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია, განაცხადა შემდეგ ხ. ფლორაკისმა, მოიხოხოვს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ნატოდან გამოსვლას, იერუშენრებს „საერთო ბაზარში“ შესვლის წინააღმდეგ.

საშინაო პოლიტიკის დარგში, განაგრძო ხ. ფლორაკისმა, მეორეს კომუნისტებს საჭიროა მიაჩნიათ განავითაროონ დემოკრატია, მოსპონ ფაშისტური ორგანიზაციები.

ᲙᲐᲛᲞᲐᲗᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა აქ გამოსვლისას დიდი ყურადღება დაუთმო „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მდგომარეობას. ჩვენს წინაშე დგას ზოგადი პრობლემები: უმუშევრობის მაღალი დონე, ინფლაცია, კაპიტალური დაბანდების ნაკლებობა, განაცხადა მან. „თავის მოტყუება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საქმეები კარგად მიდის“.

როგორც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა თქვა, „ცხრაეულის“ ქვეყნების წინაშე მდგომი პრობლემები თითოეულმა ქვეყანამ თავის შესაძლებლობათა მიხედვით უნდა გადაწყვიტოს. ამ თვალსაზრისით, განაგრძო ჯ. კალაგენმა, ჩვენ არ გვჯერა, რომ გაერთიანება შეიძლება ფედერაციად განვითარდეს. დასავლეთ ევროპა უმეტეს პროგრესს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ შეინარჩუნებს ეროვნული მთავრობებისა და პარლამენტების უფლებებს.

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). ლიბანის ეროვნული-პატრიოტული ძალები და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია განაგრძობენ მეცადინეობას ქვეყნის ვითარების ნორმალიზაციისათვის. პალესტინის ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს წევრს ფაოთ ხალაპ ჰალაფს კონსულტაციები ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ხ. ჰოსთან და ლიბანის სხვა ოფიციალურ პირებთან.

კონსულტაციების შემდეგ ს. ჰალაფმა განაცხადა, რომ პალესტინის მხარეს ლიბანის მთავრობასთან არა აქვს უთანხმოებანი შტაბის შეთანხმების განხორციელების დეტალებში, რომელიც ითვალისწინებს პალესტინის წინაალმდეგობის მოძრაობის ძალების გამოყვანას სამხრეთ ლიბანიდან და იქ ლიბანის არმიის ქვეგანაყოფების განლაგებას. მორიგების შესრულების გზაზე ძირითადი დაბრკოლებაა ისრაელის პოზიცია, რომელიც პროვოკაციულ მოქმედებას განაგრძობს ქვეყნის სამხრეთში, ხაზი გაუსვა მან.

შტაბის შეთანხმების შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი განიხილეს აგრეთვე პალესტინის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ პალესტინის რეგოლუციის ძალების სარდლობის სხდომაში. ეს სხდომა აქ გაიმართა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. არაფატის თავმჯდომარეობით.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲓᲘᲓ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲔᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. პრაღაში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისა და ტრადიციული ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილი მშრომელთა მანიფესტაცია. ათასობით ადამიანი — დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენლები შეიკრიბნენ სტარომესტის მოედანზე, რათა გამოეხატათ თავიანთი ერთგულება დიდი ოქტომბრის იდეებისადმი, საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრობის განმტკიცებისადმი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲡ: მანიფესტაციის დროს.

ᲩᲢᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა პოლიტიკური სიმღერების მესამე საერთაშორისო ფესტივალი „წითელი ყაყაჩო“, რომელიც ბლაგოევგრადში გაიმართა. მასში მონაწილეობდა 60 თვითმოქმედი და პროფესიული კოლექტივი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲡ: ფესტივალის საპატიო სტუმრები საბჭოთა კავშირის გმირი მარინე ჩერნევა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი ზაჭარია ზახარიევი ხეს რგავენ მეგობრობის „პარკში.

ᲩᲢᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲜᲘ—ᲗᲘᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ აპრილში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თავისი ენერგეტიკული პროგრამა გამოაცხადა და დასძინა, მორალური თვალსაზრისით იგი ომს ექვივალენტურიაო, ეს განცხადება აღიქვეს როგორც პრეზიდენტის სურვილი ხაზი გაესვა ქვეყანაში გამეფებული კრიზისის სიმწვავისა და სიღრმისათვის. მაგრამ მაშინაც კი აღმოჩნდა ბევრი მეთვალყურე, რომლებმაც აწინასწარმეტყველეს, „ომი“ ნამდვილად გაჩაღდება და, ალბათ, მეოთხედ საუკუნეს მაინც გასტანსო.

ახალი ადმინისტრაციის გეგმას, რომელიც თვალსაწინეზედა ღონისძიებათა კომპლექსს ენერგიის დაზოგვის, ნავთობის იმპორტის სტაბილიზაციის, თხევადი საბობის „სტრატეგიული“ მარაგის შექმნის, ქვანახშირის მოპოვებელი მრეწველობისა და ატომური ენერგეტიკის განვითარების დარგში, აგრეთვე სხვა ასპექტებს, ცხადია, რეგულაციური ხასიათი არ ჰქონია. იგი ითვალისწინებდა საგრძნობ დათმობებს ნავთობისა და გაზის კორპორაციებისათვის, რომელთა მოგებას 1990 წლამდე, პრეზიდენტის სიტყვით, შეეძლო 430 მილიარდ დოლარამდე მიეღწია. გეგმა კატეგორიულად უარყოფდა ენერგეტიკის წამყვანი დარგების ნაციონალიზაციის იდეას და ნებას რთავდა კერძო კომპანიების საქმიანობაში სახელმწიფოს მხოლოდ ნაწილობრივ ჩარევას, ისიც ფასების განსაზღვრის საკითხში, — ეროი სიტყვით, იგი საკმაოდ შეზღუდული იყო.

მიუხედავად ამისა გარკვეული თვალსაზრისით ეს იმის ცდა გახლდათ, რომ ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინათ მოახლოებული კატასტროფა და მომავალში რამდენადმე დაეცხროთ ენერგეტიკული პრობლემის სიმწვავე. ეფდავოა, რომ

საქართველოს რაიონებში

მახარაძე

ბეჭდავს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ახალი კომპლექსი

ხოფელ შრომის ორგანიზაციის საწარმოს ბაბილობის კოლმეურნეობაში გაიხსნა მეცხოველეობის კომპლექსი „მეგობრობა“, რომელსაც უჭირავს 3 ჰექტარზე მეტი ფართობი.

ნაგებობა გათვალისწინებულია 400 სული ძროხისათვის. კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ფურების საწველად და სხვა ძირითადი შრომითი და ტექნოლოგიური პროცესებისათვის ფართოდ იყენებენ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

კომპლექსი „მეგობრობა“ კოლმეურნეობამ ააგო თავისი ხასრებით, დაიხარჯა 776 ათასი მანეთი. კომპლექსის გახსნაში მონაწილეობდნენ გენერალისკის რაიონის სოფელ როგნის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ონიშენკო, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი დ. დვალიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. თენგინაშვილი, რაიონის აქტივი.

საინტერესო გამოფენა

ქალაქის კინოთეატრში მოწყობილ რაიონის პროფესიონალ და თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაზე დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მხატვრების ვ. მამეშვილის, რ. ჯაშის, ს. ხჩაიძის, შ. დარჩიასა და სხვათა ფერწერულმა ნამუშევრებმა, ვ. მეკვანაძის, ჯ. მიმინოშვილის სკულპტურულმა ხელოვნებამ. გამოფენა დიდქალმა მნახველმა დაათვალიერა.

დროშა — წარმატებებისათვის

მახარაძის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი გ. ბაბილოძე) კოლექტივმა ჩინებული შედეგები მოიპოვა ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სანაქებოდ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, რეალიზაციის გეგმები. საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს ხაზინიმ ვითარებაში გადაეცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის

სოფელ ბაილეთის კოლმეურნეობის წევრები მთელი მოდგომებით იბრძვიან, რათა საზოგადოებრივი მეცხოველეობა გადაიქცინ რენტაბელურ, მომგებიან დარგად. ამ დღეებში აქ დამთავრდა მეცხოველეობის კომპლექსის შენებლობა, მისი კეთილმოწყობა. კომპლექსი, რომელიც რამდენიმე ასეულ პირუტყვს დიატვენ, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ეს, რომ სუქებაზე დაყენებული ითიოული პირუტყვი დღედამეში წონაში მოიმატებს სულ ცოტა 00-500 გრამს.

მოეწყო მეცხოველეობის კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილი ...ერება, რაიონისა და ახლომდებარე სოფლების წარმომადგენლებმა ბალეთელ მეცხოველეებს ...ოლოცეს წარმატება.

ფეხით — თბილისში

ახალგაზრდობა ...ერის ნიამაშვილი 50 წელზე მეტი სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას მიხდევს. მის ანგარიშზე ...ულობთ მოკლული მტაცებლებიდან-ფრინველი. მამაცი მონადირე მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს გამოვიდა ქ. მახარაძიდან და 27 ოქტომბერს ჩამოვიდა თბილისში. ამ 65 წლის კაცმა ...კილომეტრი გზა ფეხით განვლო და ნაოქმომბრო სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული ...ერაძის მონადირეთა საზოგადოების წარმატებების შესახებ ...აკი მისცა საქართველოს მონადირეთ პრეზიდიუმს.

ნიამაშვილი დაჯილდოვეს ...დრო თოფითა და სოგელით.

ბ. ჩხაიძე.

* * *

...ურათზე: გმირთა ობელისკი ...ქ მახარაძეში.

ი. შაქარიშვილის ფოტო.



ჩვენი ფიგნის თარო

თეატრის რომანტიკოსი

ვ. კიკნაძის მონოგრაფიული გამოკვლევის „სანდრო ახმეტელის“ გამო



დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ცხოვრება და შემოქმედება ყოველთვის ღრმა ინტერესს იწვევდა, მის ირგვლივ მუდამ აზრთა ჭიდილი, ბრძოლა, წინააღმდეგობა იყო, რადგან ახმეტელის ნოვატორული ბუნება ვერ ეგუებოდა ყოფიერებას. სიმშვიდეს. იგი რევოლუციონერი შემართებით იბრძოდა ყოველივე ძველისა და ფრიმოქმედის წინააღმდეგ. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ არც ერთ ქართველ რეჟისორს არ უმღერია რევოლუციისათვის ისეთი რომანტიკული გზნებით, ისე გულუხვად და სანტერესოდ, როგორც ეს ახმეტელმა გააკეთა.

ამ დიდ საბჭოთა რეჟისორზე დღემდე არ გვქონდა მეცნიერული, ყოველმხრივ გაანალიზებული ფუნდამენტური გამოკვლევა. ეს ნაკლი შეავსო ვასილ კიკნაძის წიგნმა „სანდრო ახმეტელმა“, რომელიც გამოსცა „ხელოვნებამ“ (რედაქტორი ო. ჯანელიძე, მხატვარი ო. გორგალეიშვილი).

თითქმის ოცი წელი მოანდომა ვ. კიკნაძემ ს. ახმეტელის შემოქმედების შესწავლას. პირველი წერილი რეჟისორზე გამოაქვეყნა 1958 წელს ნ. შეანგრაძის მიერ შედგენილ კრებულში, რომლის გამოსვლასაც მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. და აი, ოცი წლის თანმიმდევრული შრომის შემდეგ შეიქმნა შესანიშნავი წიგნი, რომელმაც საბოლოოდ აღადგინა თვალს უფლებებში ს. ახმეტელის სახელი. ეს არის ქართული საბჭოთა თეატრის, ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მონაპოვრის დაცვა და მის ღირსებათა აღიარება. წიგნში მასშტაბურად, საბჭოთა თეატრის განვითარების პროცესებთან კავშირში განხილულია ს. ახმეტელის ღვაწლი და დამსახურება. ეს წიგნი მნიშვნელოვანია ფართო ერუდიციით, მასალის ღრმა ცოდნით და, რაც მთავარია, პრობლემების დასმითა და გადაწყვეტით.

წიგნში უზვად არის ფართო მკითხველისათვის უცნობი დოკუმენტები. შრომა დაწერილია პოლემიკური შემართებით, უკომპრომისოდ. სავსებით უნდა გვიჩვენიაროთ წინასიტყვაობის ავტორის ო. ეგაძის აზრი იმის შესახებ, რომ „ვ. კიკნაძემ საფუძველი ჩაუყარა ს. ახმეტელის მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას და ამით ცოტა როდი არგო კოტე მარჯანიშვილის რეჟისორულ მემკვიდრეობისადმი თეატრმცოდნეობა კვლევა-ძიების გაშლასაც, ქართული საბჭოური პრობლემების დიალექტიკური მეთოდით გამოკვლევას“. მართლაც, წიგნში ობიექტურად სიყვარულით არის შეფასებული დიდი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის ღვაწლი. განხილულია მარჯანიშვილისა და ახმეტელის ურთიერთობა, მათი შემოქმედების საერთო საფუძვლები და განსხვავებულობა. ყველაფერი ეს თეატრის ისტორიის ცოდნითა და მეცნიერული ტაქტით არის წარმოდგენილი. ამით გაიფანტა ბევრი მითი დიდ ხელოვანების ურთიერთობაზე. საერთოდაც, წიგნმა ბევრი მითი გაფანტა და დაგვანახვა, რომ ახმეტელი მარტო ინტუიციის რეჟისორი არ იყო, იგი შესანიშნავად აანალიზებდა მთავლენებს, ღრმად სწვდებოდა თეატრის პრობლემებს, იყო ღიდად ერუდირებული რეჟისორი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის თავები „დიდი გზის დასაწყისი“, „კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ურთიერთობა“, „დიურეის შუქჩრდილები“, „რომანტიკული თეატრის სათავეებთან“, „მითები და სინამდვილე“. ცალკე თავი ეძღვნება რუსული დრამატურგიის როლს ახმეტელის შემოქმედებაში.

ავტორს განუხილავი არ დარჩენია ქართულ თეატრთან დაკავშირებული თითქმის არც ერთი საკითხი, მათ შორის ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობა, ფორმისა და შინაარსის, რიტმის, პლასტიკის, მუსიკის, მხატვრობის, ძველისა და ახლის, ტრადიციულისა და ნოვატორულის, რომანტიკულისა და ფსიქოლოგიურის და სხვა საკითხების ფართო წრე.

ასე რომ წიგნის მნიშვნელობა სრულდება ერთი რეჟისორის შემოქმედების ფარგლებს. მაგრამ ყველა პრობლემა დაკავშირებულია ს. ახმეტელის რთულ შემოქმედებასთან. ჩემთვის, როგორც ისეთი რეჟისორისათვის, რომელიც პირადად იცნობდა ს. ახმეტელს, ჰქონდა მასთან შემოქმედებითი კავშირი და მისგან მიიღო თეატრალური ნათლობა (სადიპლომო სპექტაკლის ხელმძღვანელი იყო), განსაკუთრებით ძვირფასია ს. ახმეტელის შესახებ დაწერილი ასეთი წიგნი, რომელს როლს ანიჭებდა გმირისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემას. საგმირო საქმეებთან ჭიდილში იბადებოდა ახალი ადამიანი. ახმეტელი ეძებდა მებრძოლი ადამიანის სახეს, ეძებდა „ყველგან, რევოლუციურ ბრძოლებში და ხუთწლედის გიგანტურ მშენებლობაზე, ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ეძებდა ცხოვრებასა და ლიტერატურაში, ეძებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ მიღწეულთან არ კმაყოფილდებოდა და კვლავ ახალ გმირებს ეზმობდა“ (გვ. 254). ეს იყო შემოქმედებითი ძიების რთული პროცესი. იგი, როგორც მართებულად წერს ვ. კიკნაძე, „მოიცავდა ახალი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნათა დიდ შინაარსს“ (გვ. 235). წიგნში გაანალიზებულია მთელი ეს პროცესი. ახმეტელის ძიებანი მეცნიერულად, თანამედროვე აზროვნების დონეზეა დასაბუთებული. დეტალურად, სამეცნიეროდ ანალიზებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სპექტაკლი „ყაჩაღები“.

წიგნში ხაზგასმულია, რომ ახმეტელი დიდი თანამედროვე რეჟისორი იყო... წიგნის უკანასკნელი გვერდი მთავრდება ვ. ი. ლენინის სიტყვებით, რომ უეჭოციოდ „არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“. წიგნში ლოგიკურად, დასაბუთებულად არის შერჩული პრობლემებისა და თემების ფართო წრე.

ახმეტელის ღრმად ეროვნული შემოქმედება, საბჭოთა თეატრის მაღალი დანაშნულების გრძნობა, რევოლუციური მგზნებარება, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეების გამოხატვა, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დაცვა, თეატრის დიდი აღმზრდელობითი როლის დადასტურება, ფორმებისა და შინაარსის, გმირისა და ხალხის ჰარმონიული შერწყმა, თეატრის თანადროულობისათვის ბრძოლა, საბჭოთა ხელოვნების დიდი მოქალაქეობრივი პრინციპებისადმი ერთგულება — ყველაფერი ეს ჩვენთვის, განსაკუთრებით საყვარელსა და მახლობელს ხდის ახმეტელის სახელს. ამიტომაც ძვირფასია წიგნი, რომელიც ეცნიერულად, ცოცხლად და საინტერესოდ ასახავს დიდი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დიმიტრი ალექსიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი.

საერთაშორისო მერიდიანებზე

ფაროს ასპარეზზე

საქართველოს ხელოვნების წარმომადგენელთა გამოსვლები საზღვარგარეთის ქვეყნებში

ქართული ხელოვნება საქართველოს საზღვრებს რომ გასცდა, ჩვენთვის სიამოვნებას არ წარმოადგენს, მაგრამ უცხოეთში ჩვენი თანამემამულეებს ყოველ გამოსვლას მაინც თვალს ფფლებური გულისყურით ვადევნებთ. ამ წერილში გვინდა 1977 წლის „საგასტროლო რუკა“ ჩვენც გავიცნოთ და „კომუნისტის“ მკითხველსაც ჩავათვალიერებინოთ.

ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საავტორო კონცერტებს მართავს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი, მასთან ერთად გასტროლებზეა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ვიოლონჩელისტი ვ. ასკაძე. კონცერტები, რომლებიც ადგილობრივი მუსიკალური საზოგადოების დიდ ყურადღებას იპყრობს, ნოემბრის დამლევამდე გასტანს.

თბილისის ზაჭარიოა ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ჯანდიერი და გ. ჯულუხიძე ამჟამად დანიაში გამოდიან. ხელოვნებისა დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ნ. დემეტრაშვილი ბულგარეთშია და დგამს დრამატურგ ა.ვ. ეფუაძის პიესას „ყარაძანი ცოლს ირთავს“.

23 ნოემბრამდე ბერლინში, როსტოკსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მოუსმენენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ლ. ჭყონიას და საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ალ. ნიკარაძეს; იუგოსლავიაში ეს-ეს არის გამოსულები დაამთავრა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთავი“...

წლევანდელი წელი საგასტროლო მოგზაურობის მხრივ უხვი აღმოჩნდა სიმებიანი კვარტეტისათვის — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა კ. ვარდელმა, თ. ბათიაშვილმა, ო. ჩუბინიშვილმა და ნ. ფვანიამ წლეულს იმოგზაურეს ნორვეგიაში, ფინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ალის“ საგასტროლო აფიშებს კითხულობდნენ ბულგარეთში, უნგრეთში, თურქეთში, ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში.

საინტერესო იყო თოჯინების ქართული თეატრის წლევანდელი მოგზაურობა უნგრეთში, სადაც მან საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. მაისში, ხეროსლოვაკიის რამდენიმე ქალაქში კონცერტები გამართეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ც. ტატიშვილმა, ნ. ანდღულაძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. ჩაჩავამ. უნგრელ მაყურებელს კვლავ ჰქონდა შესაძლებლობა ენახა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ეს გასტროლები აგვისტო-სექტემბერში გაიმართა.

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ქართველ ხელოვანთა ჯგუფმა: რეჟისორმა ა. მრეველიშვილმა, ხატვარმა მ. ჭავჭავაძემ, კომპოზიტორმა მ. ოძელმა დადგეს ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. დემეტრიადი გამოდიოდა საბერძნეთში, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. კახიძე — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთსა და პოლონეთში.

თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებული ცეკვის ანსამბლი „მხედრული“ ამჟამად სხვა საბჭოთა მსახიობებთან ერთად გასტროლებზეა ინდოეთში, საიდანაც ბირმასა და პაკისტანში გაეშგზავნება.

პრესა უკვე იუწყებოდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „თბილისის“ დიდ წარმატებაზე ბელგიაში. დაგეშმატები, რომ ქართველი შემსრულებლები იქ არიან საბჭოთა კავშირის დღეებში მონაწილეობის მისაღებად და რომ ისინი გასტროლებს კვლავაც გააგრძელებენ.

პოლონეთში დიდი და დამსახურებული წარმატებით გამოდის ალსახეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

საქართველოს ხელოვნება, როგორც ვხედავთ, ფართო ასპარეზეა და სასიამოვნოა, რომ იგი ყველგან მეგობრებს იძენს.

ზ. კანდელაკი.

ლ. ჟუტუბაძე



[illegible] ... ბრობილ ოლგი, [illegible] ... ბოლოს ... ბოლოს ... ბოლოს